საქართველოს კონკურენციის სააგენტო

2016 წლის ანგარიში

თბილისი, 2017

ჯანსაღი კონკურენცია

ჩვენი ევროპული არჩევანია

გასული, 2016 წელი საქართველოს განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წელი იყო, რადგანაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რეფორმების ახალი, ლოგიკური და განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელი ეტაპი დაიწყო, რაც განამტკიცა 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა. რეფორმები ეხება ჩვენი ცხოვრების ბევრ მხარეს და ცხადია, იგი გვერდს ვერ აუვლის ეკონომიკური განვითარების ისეთ მნიშვნელოვან მამოძრავებელ სფეროს, როგორიცაა კონკურენცია, მისი დაცვა და განმტკიცება.

ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის პოლიტიკის დამკვიდრება, ხელშეწყობა და კონკრეტული, მიზანმიმართული ნაბიჯები ქმნის პროგრესის საფუძველს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი წინსვლის რეალურ მიმართულებას. კონკურენტუნარიანობის ამაღლება - რაც განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულია, მხოლოდ სამართლიან, კონკურენტულ გარემოში მიიღწევა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებთან, დარგობრივ მარეგულირებლებთან ერთად, დამოკიდებულია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე და შესაბამისი გარემოს ფორმირებაზე.

სამართლიანი კონკურენციის პრინციპების ჩამოყალიბება და დაცვა მნიშვნელოვანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის, ეფექტიანობის ამაღლების, ყველა დარგის, სფეროს, საწარმოსა თუ შინამეურნეობის განვითარებისათვის.

ეს არის ჩვენი, რიცხობრივად მცირე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი უწყების - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მუშაობის ლეიტმოტივი და უმთავრესი ამოცანა.

დღეს ჩვენი მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტებია: სწრაფი, რეალური ქმედებებით კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების არეალის გაძლიერება; საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დანერგვა და ცნობადობის, ნდობის ამაღლება; თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; სააგენტოს ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ზრდა; კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო, როგორც პროფესიონალ თანამოაზრეთა ერთობა, არის და იქნება ყველა მხარის უფლების დამცველი და გარანტორი.

ჩვენი გუნდის სამოქმედო გეგმა ქვეყანაში ბიზნესის სტაბილურობის, საინვესტიციო გარემოს გაძლიერების ხელშეწყობა და დაცვაა.

ჩვენ რამდენიმე მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ, რათა შეზღუდული რესურსების პირობებში, ღირსეულად გავართვათ თავი ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წლიანი გამოცდილება არსებობს, ახლადშექმნილ სტრუქტურას, რომელიც ჯერ 3 წლისაც არაა,

სჭირდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების, საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიური უწყებების მხარდაჭერა და ცოდნა-გამოცდილების გაზიარება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ არსებული რესურსი გონივრულად გამოვიყენოთ და დაწყებულ პროგრესს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნაა, ხელი შევუწყოთ და გავაძლიეროთ.

ჩვენ უნდა გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილება და მიდგომები. დავსახოთ ახალი, საინტერესო, დროული და საჭირო, ჩვენი ხალხის, ქვეყნის, ეკონომიკის ინტერესებზე ორიენტირებული ამოცანები, რომლებიც უნდა გადავჭრათ და არსებული პრობლემები დავძლიოთ.

ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა არის ქვეყნის პროგრესის მამოძრავებელი და განმსაზღვრელი, სწორედ ამიტომ, მათ ჩართულობას, მონაწილეობას, აზრს, მსოფლმხედველობას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მისასალმებელია დარგის სპეციალისტების, აკადემიური და არასამთავრობო სექტორების, ბიზნესწრეების ჩართულობა ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესებაში. სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სააგენტოს საქმიანობის ცნობადობის ამაღლებას და ეს წარმოუდგენელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაინტერესების, თანამონაწილეობისა და მხარდაჭერის გარეშე.

ძლიერი კონკურენციის სააგენტო ძლიერი ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია.

გასული წლების განმავლობაში, საქართველოში კონკურენციის ხელშეწყობისათვის, მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, სოფიას კონკურენციის ფორუმს, საერთაშორისო კონკურენციის ქსელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის უნგრეთის კონკურენციის რეგიონალურ ცენტრს და ყველა სხვა პარტნიორ ორგანიზაციას.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, სამომავლო გეგმები და მიზნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.

კონკურენციის ხელშეწყობა ნიშნავს ძლიერ, წარმატებულ, გამართულ საქმიანობას, ქვეყნის წინსვლას და ჩვენ ამას აუცილებლად განვახორციელებთ.

გისურვებთ სამართლიან კონკურენციაში ღირსეულ გამარჯვებას.

პროფესორი ნოდარ ხადური

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით, 2014 წლის დასაწყისში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად, ჩამოყალიბდა საქართველოს კონკურენციის სააგენტო და მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცდა სააგენტოს დებულება.

კონკურენციის სააგენტო დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

სააგენტო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა ამზადებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობისა და საქართველოს საქონლის და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციული გარემოს მდგომარეობის შესახებ.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობის შედეგად, კონკურენციის სფეროს ძირითადი ნორმატიული აქტები (საქართველოს მთავრობის 2 დადგენილება და სააგენტოს თავმჯდომარის 5 ნორმატიული აქტი) შემუშავდა და 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან სააგენტოს უფლებამოსილებები სრულად ამოქმედდა. ქართული კონკურენციის სამართალი, კონკურენციის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ - ევროკავშირის კანონმდებლობას დაეფუძნა.

სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სააგენტო 4 სტრუქტურული ქვედანაყოფისგან შედგება: კონკურენციის დეპარტამენტი; ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი; სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში 41 თანამშრომელი იყო დასაქმებული.

მისი საქმიანობის თითქმის 3 წლის მანძილზე, ქვეყანაში კონკურენციის კუთხით არსებული გამოწვევების ფონზე, ახალგაზრდა კონკურენციის სააგენტომ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო განახორციელა: საქონლისა და მომსახურების 20-მდე ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევის, 6 ბაზრის მონიტორინგის, კონცენტრაციის 6 შეტყობინების, სახელმწიფო დახმარების, სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის შესწავლის

კუთხით. ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაიცა 60-ზე მეტი რეკომენდაცია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ისე ეკონომიკური აგენტების მიმართ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებული ყველა დავა, სააგენტოს გადაწყვეტილებების ძალაში დატოვებით დასრულდა.

ქვეყანაში კონკურენტული გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების გარდა, 2016 წელს, სააგენტომ კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდისა და საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის გაფართოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. დამყარდა კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კოლეგა უწყებების წარმომადგენლებთან, ხელი მოეწერა თანამშრომლობის რამდენიმე მემორანდუმს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სააგენტოში 2 მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ევროკავშირის დახმარების პროგრამები სააგენტოს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს ითვალისწინებენ - მისი სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდის, კონკურენციის საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით.

ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში სააგენტო აქტიურადაა ჩართული (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შეთანხმების (DCFTA) სამოქმედო გეგმა, საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა და ა.შ.).

2016 წელს სააგენტოს "საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის" სპეციალური ჯილდო გადაეცა და ერთ-ერთ ყველაზე ღია და გამჭვირვალე საჯარო დაწესებულებად დასახელდა.

საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და კოლეგიური გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფისათვის, სააგენტოში თავმჯდომარის სათათბირო ორგანო - სათათბირო საბჭო შეიქმნა.

სააგენტო გეგმავს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები და ვალდებულებები მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს ქვეყანაში მოქმედი ყველა ტიპის ბიზნესისათვის - ამ მიზნით, დაწყებულია აქტიური მუშაობა კანონმდებლობის განმარტებებისა და გზამკვლევი დოკუმენტების შემუშავებაზე. სააგენტო პერმანენტულ შეხვედრებს მართავს საქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და სააგენტოს შესაძლებლობების გაფართოების მიმართულებით.

კონკურენციის სააგენტო, მის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ყველა პარტნიორ და დონორ ორგანიზაციას მადლობას უხდის.

1. სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მაჩვენებლები

2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სულ შემოვიდა 1282 და გავიდა 2277 წერილი.

ამავე წელს, სააგენტო ახორციელებდა 9 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევას, რომელთაგან 5 დასრულდა 2016 წელს.

სააგენტოში წარმოდგენილი 5 განცხადება, კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველობისა და ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით, განუხილველად იქნა დატოვებული.

ასევე, კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე შემოსული 4 განცხადება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გადაეგზავნა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.

დამატებით, სააგენტოში მიმდინარეობს 2016 წელს წარმოდგენილი 2 განცხადებისა და 2 საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა, მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

გარდა ამისა, 2016 წელს:

- კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 3 შეტყობინება და განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე 1 განცხადება;

- სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი, რომელთაგანაც 1 დასრულდა;

- სააგენტოში შემოვიდა 3 განცხადება სახელმწიფო დახმარების თაობაზე;

- სააგენტომ გასცა 25 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით;

- სააგენტო მონაწილეობდა 12 სასამართლო დავაში, მის მიერ მიღებულ 4 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

- კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით, ჩატარდა 8 სემინარი/კონფერენცია.

- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 15 ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რასაც მოჰყვა 30-მდე თანამშრომლის გადამზადება.

2. მოკვლევები

2.1. დასრულებული მოკვლევები

2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა. მათ შორის, 2 მოკვლევა დაწყებულ იქნა 2015 წელს, ხოლო 3 მათგანი დაიწყო და დასრულდა 2016 წელს.



ხსენებული 5 მოკვლევიდან:

- 1 განხორციელდა სააგენტოს ინიციატივით;
- 2 - სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის; და
- 2 - განცხადების საფუძველზე.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა დადასტურდა 5-დან 2 შემთხვევაში.



მოკვლევის 1 საქმე მიმდინარეობდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, 1 საქმე - კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით, 2 საქმე ეხებოდა მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს, ხოლო 1 - კანონის 11[3] მუხლის სავარაუდო დარღვევას.

❖

ხორბლის ფქვილის ბაზარზე განხორციელებული მოკვლევა

2016 წლის 25 იანვარს დასრულდა სააგენტოში მიმდინარე მოკვლევა - საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია ,,გლობალაგროს“ წევრების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

მოკვლევის პროცესში, დამუშავდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან და ეკონომიკური აგენტებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია (ხორბლის/ფქვილის იმპორტი, ადგილობრივი წარმოება, რეალიზაცია, ფასების შედარება და ა.შ.), დეტალურად გაანალიზდა „გლობალაგროს“ მიერ წარმოდგენილი ასოციაციის წესდება, ასოციაციის სხდომის ოქმები და კრების ოქმები. სააგენტომ მიიღო ახსნა-განმარტებები ბაზრის მონაწილეთაგან და ასოციაციის წევრებისგან.

სააგენტოს გადაწყვეტილების მიხედვით, 2013 წლის შემდგომ ხორბლის ფქვილის ბაზრის გახსნილობა, ბაზარზე ახალი, ძლიერი კომპანიების შემოსვლა, სარეალიზაციო ფასების კუთხით აქტიური მეტოქეობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ბაზარზე არის კონკურენტული გარემო და არ არსებობს მტკიცებულებები „გლობალაგროს“ წევრ კომპანიებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის დასადასტურებლად.

ამასთან, ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შემდგომი გაჯანსაღების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა რეკომენდაცია როგორც ასოციაცია „გლობალაგროს“, ასევე საქართველოს მთავრობის მიმართ.

❖

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში თამბაქოს რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხის მოკვლევა

2016 წლის 28 მარტს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მოკვლევა, რომელიც მიმდინარეობდა შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე, სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე. საჩივარი ეხებოდა მოპასუხე სს „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მფლობელი კომპანიების მიმართ არათანასწორი მოპყრობის სავარაუდო ფაქტს და პროდუქციის მიწოდებაზე ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმების საკითხს.

ინფორმაციის გამოთხოვისა და მონაცემთა ანალიზის, ახსნა-განმარტების სხდომების გამართვისა და საერთაშორისო პრაქტიკის დამუშავების გარდა, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ჩანაცვლებადობის დადგენის მიზნით, მოკვლევის ჯგუფის მიერ ჩატარდა ე.წ Duty Free პუნქტების მომხმარებელთა გამოკითხვა. აღნიშნულის საფუძველზე, მოკვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ სიგარეტი ,,პირველი“ და ზოგადად, ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი არ ქმნის ცალკე ბაზარს და შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა ფილტრიანი სიგარეტის ბაზარი.

როგორც გაირკვა, სს ,,თბილისის თამბაქოს“ წილი შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება დომინირებული მდგომარეობის არსებობის დასადასტურებლად საჭირო მაჩვენებელს და დადგინდა, რომ განსახილველი ქმედების დროს (და არც მის შემდგომ) სს ,,თბილისის

თამბაქოს“ არ გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე.

სააგენტოს პოზიციით, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას იმ ეკონომიკური აგენტის მიერ, რომელსაც აღნიშნული დომინირებული მდგომარეობა არ გააჩნია. შესაბამისად, სს ,,თბილისის თამბაქოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

❖

სამედიცინო მომსახურების სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის მოკვლევა

2016 წლის 14 სექტემბერს სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ საჩივართან დაკავშირებით. საკითხი შეეხებოდა შპს „სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის ფაქტს, კერძოდ, არასწორი ცნობების გავრცელებას მომჩივანის მისამართისა და კოლექტივის ცვლილების შესახებ; ასევე, ადგილი ჰქონდა კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს გამოყენებას, როგორც ლოგოს საქპატენტში რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, მითითება კეთდებოდა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ „90 წლიანი ტრადიციის“ გაგრძელებაზე, იმ პირობებში, როდესაც ინსტიტუტი შეიქმნა 2015 წელს.

სააგენტოს პოზიციით, ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობა მომხმარებელს უქმნიდა არასწორ წარმოდგენას მომჩივანი კომპანიის საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, დადგინდა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს განესაზღვრა ვალდებულება, რომ უზრუნველეყო კანონდარღვევის აღმოფხვრა და თავი შეეკავებინა კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით მომჩივანი ორგანიზაციის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისაგან.

მოპასუხე სამედიცინო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ შეასრულა სააგენტოს გადაწყვეტილება და გვაცნობა აღნიშნულის თაობაზე.

❖

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტის მოკვლევა

2016 წლის 30 სექტემბერს დასრულდა მოკვლევა, რომელიც მიმდინარეობდა ა(ა)იპ „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისათვის“ განცხადების საფუძველზე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

განმცხადებლის პოზიციით, რეგულირების სააგენტოს მხრიდან ხდებოდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების კონკურენციის შეზღუდვის კუთხით ინტერპრეტაცია. კერძოდ, მითითებული იყო, რომ რეგულირების სააგენტო მიზანმიმართულად ზღუდავდა სამედიცინო პრეპარატების ,,პარალელურ იმპორტს“, ანუ განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანას ქვეყანაში.

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების მიხედვით, მოკვლევის პროცესში არ გამოიკვეთა რაიმე ცალსახა მტკიცებულება იმისა, რომ რეგულირების სააგენტომ მიზანმიმართულად შეზღუდა

პარალელური იმპორტი, როგორც ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედების/ ოპერირების ფორმა.

რაც შეეხება ცალკეულ შემთხვევებს, მოკვლევის ჯგუფმა შეაფასა ორივე მხარის არგუმენტები და მიიჩნია, რომ Enap-H-სა და Atarax-ის შემთხვევაში არ ირღვეოდა კანონი, ხოლო პრეპარატ Lorista-სთან მიმართებაში, გამოვლინდა რეგულირების სააგენტოს მხრიდან არსებითად თანასწორი შემთხვევების მიმართ არათანასწორი მოპყრობის ფაქტი, რაც დაკვალიფიცირდა, როგორც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების სააგენტომ დაუყოვნებლივ აღმოფხვრა დარღვევა და გააუქმა პრეპარატ Lorista-სთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილება.

ამასთან, მოკვლევის პროცესში, შესაბამის ეკონომიკურ აგენტებთან და ექსპერტებთან გასაუბრების შემდეგ, სააგენტომ შეიმუშავა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები, შესაბამისი სფეროს მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებზე.

❖

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ განცხადების საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა

2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააგენტომ დაასრულა სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ განცხადების საფუძველზე წარმოებული მოკვლევა, ,,საქართველოს ფოსტის“, “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ და ,,მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ გამოცხადებულ ჯანმრთელობის დაზღვევის ტენდერებში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

განმცხადებლის მითითებით, სადაზღვევო კომპანიებისთვის წაყენებული მაღალკვალიფიციური მოთხოვნები - კომპანიების გამოცდილებას, მოზიდული / გამომუშავებული პრემიის მოცულობასა და პროვაიდერი კლინიკების რაოდენობასთან დაკავშირებით, შემსყიდველების მხრიდან წარმოადგენდა დისკრიმინაციულ მიდგომას და იწვევდა პოტენციურ კონკურენტთა რიცხვის საგრძნობლად შემცირებას, რაც ასევე დადასტურდა მოკვლევის პროცესში.

სააგენტომ ასევე დაადგინა, რომ „საქართველოს ფოსტა“, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ და „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ არ წარმოადგენენ კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის სუბიექტებს; შესაბამისად, მათ მიერ კანონდარღვევის ჩადენა ვერ დაფიქსირდა. თუმცა, სააგენტომ განმარტა, რომ სახელმწიფო ტენდერებში კონკურენციის საწინააღმდეგო პირობების დადგენა კონკურენციის სააგენტოს მიერ განიხილება, როგორც მე-10 მუხლის დარღვევა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიეცათ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები, ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

გადაწყდა, რომ შემუშავდეს და საქართველოს მთავრობას გადაეგზავნოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შესახებ პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება არსებული ხარვეზების აღმოფხვრა სახელმწიფო შესყიდვების რეგულირებასთან მიმართებით.

2.2. მიმდინარე მოკვლევები

2016 წელს სააგენტომ დაიწყო 4 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა, რომელთაგანაც:

- 3 ინიცირებული იქნა სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე,
- ხოლო 1 - სააგენტოს ინიციატივით.



❖

2016 წლის ივნისში დაწყებული მოკვლევა შეეხება სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტს, რომელიც მიმდინარეობს 14 ეკონომიკური აგენტის (საბაჟო საწყობები) ერთობლივი საჩივრის საფუძველზე.

❖

შპს ,,აიტექნიკის“ საჩივრის საფუძველზე, 2016 წლის სექტემბერში სააგენტომ დაიწყო მოკვლევა შპს „ეფლ სითის“, შპს „აიპლუსის“ და შპს „აისტაილის“ მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და შპს „აიპლუსის“ მიერ კანონის 11³ მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტთან მიმართებით.

❖

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ საჩივრის საფუძველზე, 2016 წლის ნოემბერში სააგენტომ დაიწყო მოკვლევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ: შპს “საქართველოს მელიორაცია“, შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის მერია, „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ და ხაშურის მუნიციპალიტეტი.

❖

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილის საფუძველზე, 2016 წლის აგვისტოში, სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა, შპს „ნიშის“, შპს „მაიჯიპიესის“, შპს „თაიმსერვისის“ და შპს „ბ & ბ“-ის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე; ხოლო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

2.3. მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები

2016 წლის განმავლობაში, სააგენტომ მიიღო 4 გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. 2 შემთხვევაში სააგენტოში წარმოდგენილი იყო განცხადება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, მე-3 შემთხვევაში - საჩივარი კანონის 11[3] მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, ხოლო მე-4 საკითხი შეეხებოდა კანონის მე-7 და მე-10 მუხლებთან მიმართებაში შემოსულ საჩივარს.



❖

2016 წლის თებერვალში მიღებული გადაწყვეტილებით, სააგენტომ უარი თქვა ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მოქმედი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს.

წინასწარი ერთთვიანი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტომ ჩართო განმცხადებელი და დაინტერესებული მხარეები; ასევე, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (რომელთაც განხორციელებული ჰქონდათ კვლევები ფარმაცევტულ სექტორთან მიმართებით) და თავად განმცხადებელთანაც. თუმცა, შეხვედრის მონაწილეებს კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. განმცხადებელი ძირითადად ეყრდნობოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს, რომელიც აღწერდა კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის ხანდაზმულ პერიოდში განხორციელებულ ქმედებებს.

ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ევროკავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით, სააგენტომ პირველად განმარტა „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების აუცილებელი საფუძველი და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებდა გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

❖

კონკურენციის სააგენტოს მიერ 2016 წლის დეკემბერში გამოცემული ბრძანების შესაბამისად, „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრს“ უარი ეთქვა მოკვლევის დაწყებაზე. ორგანიზაცია მიუთითებდა „კრედიტინფო საქართველოსა“ და მის კლიენტ კომპანიებს შორის შესაძლო „კარტელურ გარიგებაზე“, რაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას

წარმოადგენს. სააგენტომ წარმოებაში ჩართო სს „კრედიტინფო საქართველო“ და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ასევე გამართა საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სააგენტომ დაამუშავა საერთაშორისო პრაქტიკა და სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის, ანალოგიურ საქმესთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია - „იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ბაზარი არ არის მაღალკონცენტრირებული, თუკი სისტემა არ იძლევა კრედიტორების იდენტიფიცირების საშუალებას და თუ მასზე წვდომა ფინანსური ინსტიტუტებისთვის არ არის დისკრიმინაციული, ინფორმაციის გაცვლის სისტემა წინამდებარე რეესტრის სახით არ ზღუდავს კონკურენციას“.

ერთთვიანი ანალიზის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ ხსენებული პირობები სახეზე არ არის და საკითხზე მოკვლევის დაწყებისათვის, აუცილებელი გონივრული ეჭვის სტანდარტი ვერ კმაყოფილდება.

❖

სააგენტოს 2016 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი შპს „დრანკ ოკტოპუსის“ საჩივარი, Jack Daniel’s Properties Inc-ს და Braun Forman Finland ltd-ს წარმომადგენლის - გიორგი თაქთაქიშვილისა და შპს „გდ ალკოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის დარღვევის ფაქტზე. სააგენტოს მიერ შეფასდა - რამდენად ექცეოდა კანონის რეგულირების სფეროში მომჩივნის მიერ დასახელებული სუბიექტების ქმედება - მომჩივანი კომპანიის რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება.

სააგენტომ მიიჩნია, რომ შპს „გდ ალკოს“ მიმართ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი და წარმოდგენილი არ არის მის მიერ კანონის დარღვევის დამადასტურებელი გარემოებები. მომჩივანი, რომელსაც აქვს მტკიცების ტვირთი, არ უთითებს, თუ რაში გამოიხატება შპს „გდ ალკოს“ მიერ რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება.

რაც შეეხება Jack Daniel’s Properties Inc-ს და Braun Forman Finland ltd-ს, მომჩივანი და დასახელებული კომპანიები არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს, რადგან არ მოქმედებენ ერთსა და იმავე ბაზარზე. მომჩივანი ახორციელებს ალკოჰოლური სასმელების იმპორტს და რეალიზაციას, ხოლო Jack Daniel’s Properties Inc და Braun Forman Finland ltd არიან შპს „დრანკ ოკტოპუსის“ მიერ იმპორტირებული საქონლის მწარმოებლები.

შესაბამისად, კანონდარღვევის განმა-ხორციელებელი და დაზარალებული პირის სპეციალური ხასიათის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ Jack Daniel’s Properties Inc-ის და Braun Forman Finland ltd-ის წარმომადგენლების ქმედება არ ექცევა კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დისპოზიციაში და შესაბამისი მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი მოკვლევის დასაწყებად.

❖

სააგენტოს 23 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად, შპს “სიტროენ ჯორჯიას“ უარი ეთქვა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, რომელიც სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარზე, „კონკურენციის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-7 და მე-10 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს ეხებოდა. კერძოდ, შპს ,,სტრადა მოტორსსა“ და შპს ,,ჯი თი მოტორსს“ შორის „კარტელურ გარიგებას“ და სსიპ ცხოველთა მონიტო-რინგის სამსახურის, შპს ,,საქართველოს ფოსტის“, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის საწინააღმდეგო სატენდერო პირობების დაწესებას.

როგორც დადგინდა, მომჩივანი კომპანია რეგისტრირებულია 2016 წლის 20 მაისს, ხოლო მის მიერ სადავოდ გამხდარი ყველა ტენდერი ჩატარებული იყო ამ თარიღამდე. შესაბამისად, მითითებულ ტენდერებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, მომჩივანს ვერ მიადგებოდა ზიანი და მის დაარსებამდე ჩატარებულ ტენდერებთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯია“ ვერ იქნება სათანადო მომჩივანი, რადგან ის არ არის უფლებამოსილი შემოიტანოს სააგენტოში საჩივარი იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რასაც მისთვის უშუალოდ ზიანი არ მიუყენებია.

ამასთან, სააგენტოს პოზიციით, მე-10 მუხლთან მიმართებით, მომჩივანი სათანადოდ ვერ ასაბუთებს სატენდერო პირობების არაკონკურენტულობას. ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ შემსყიდველი ორგანიზაციების ტენდერში კონკურენტული გარემოს შექმნის მცდელობას და ასევე, არსებობს სსიპ შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებები ხსენებულ ტენდერებთან მიმართებით.

3. კონცენტრაციები

2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ და 1 განცხადება სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე.

❖

შპს „ალტასა“ და შპს „ევროტექნიკს ჯორჯიას“ კონცენტრაცია

2016 წლის 7 მარტის ბრძანებით, კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება შპს „ალტასა“ და შპს „ევროტექნიკს ჯორჯიას“ მიერ ერთობლივი საწარმოს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

დოკუმენტაციის დამუშავებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მხრიდან განისაზღვრა

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული საზღვრები და დროითი ჩარჩოები. გარდა ამისა, დაზუსტდა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, მათი წილობრივი მონაცემები 2014-2015 წლების მიხედვით და დადგინდა ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები სამი ძირითადი ბაზრის მიხედვით: 1. კომპიუტერული და მობილური ელექტროტექნიკის (ე.წ. ,,შავი ტექნიკა“) ბაზარი; 2. საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ე.წ. ,,თეთრი ტექნიკა“) ბაზარი; 3. ელექტროტექნიკის მონტაჟთან დაკავშირებული მომსახურების ბაზარი.

აღმოჩნდა, რომ ორივე სახის ელექტროტექნიკის იმპორტის ბაზარი იყო დაბალკონცენტრირებული და შესაბამისად, კონცენტრაციაში მონაწილე კომპანიათა წილებიც იყო მცირე. ამ მაჩვენებლებისა და იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კონცენტრაცია ნეგატიურად არ აისახებოდა მომსახურების ფასზე, ხელს შეუწყობდა ქვეყნის მასშტაბით ელექტროტექნიკის სარეალიზაციო ქსელებისა და სარეალიზაციო ასორტიმენტის გაფართოებას, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია.

❖

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა“ და სს „ჯიპისის“ კონცენტრაცია

2016 წლის 28 აპრილს კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა“ და სს ,,ჯიპისის“ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ სს „ჯიპისის“ აქციათა 100%-ის შეძენას.

სააგენტოს გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო მიღებული დოკუმენტაციის დამუშავების, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის, შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგებზე.

როგორც დადგინდა, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის მიზნებისათვის გამოკვეთილი ოთხი ძირითადი ბაზრიდან, სამი ბაზარი (ამბულატორიული მომსახურების, სტაციონარული მომსახურებისა და ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი)

დაბალკონცენტრირებული იყო და შესაბამისად, კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებულ კომპანიათა წილებიც არ იყო მაღალი. რაც შეეხება მეოთხე - სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ბაზარს, იგი ზომიერად კონცენტრირებულ ბაზარს წარმოადგენდა, სადაც სს ,,საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ სს ,,სადაზღვევო კომპანია იმედი ელს“ დომინირებული მდგომარეობა ეკავა.

საკითხის შესწავლის შედეგად, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია ოთხივე განხილული ბაზრის მიხედვით. თუმცა, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელს“, როგორც დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტს, სააგენტოში ყოველწლიური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრა.

❖

სს „ჯიპისისა“ და სს „ეი-ბი-სი ფარმაციას“ კონცენტრაცია

კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად, „ჯიპისის“ მიერ „ეი-ბი-სი ფარმაციას“ აქციათა

100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად იქნა მიჩნეული. მიღებული დოკუმენტაციის დამუშავებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მხრიდან შესაბამის პროდუქციულ ბაზრად განისაზღვრა ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის (სამკურნალო, პარასამკურნალო და სხვა საშუალებების) რეალიზაციის ბაზარი.

საბაზრო წილები და კონცენტრაციის დონე გამოითვალა საცალო და საბითუმო სფეროს კომპანიათა წლიური ერთობლივი შემოსავლების მიხედვით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი დაბალკონცენტრირებული იყო და კონცენტრაციაში მონაწილე კომპანიათა ჯამური წილი არ იყო მაღალი.

გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებულ იქნა ის გარემოებაც, რომ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა განმარტებით, წარმოდგენილი შერწყმა ნეგატიურად არ აისახებოდა მომსახურების ფასზე და ხელს შეუწყობდა დარგის ბიზნესის განვითარებას. ასევე, ადგილი ექნებოდა ქვეყნის მასშტაბით სარეალიზაციო ქსელებისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, მომსახურების სერვისების გაუმჯობესებას, ხარჯების ოპტიმიზაციას, სამუშაო ადგილების ზრდას და ა.შ.

❖

შპს „ნიკორა ტრეიდსა“ და შპს „ნუგეშს“ შორის კონკურენციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაცია

ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა შპს „ნიკორა ტრეიდის“ მიერ შპს „ნუგეშის“ 100%-იანი წილის კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე შეძენის საკითხის კანონიერება და დაადგინა, რომ ირღვეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და მე-11(1) მუხლის მოთხოვნები.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საკანონმდებლო ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ განსახილველ შემთხვევაში, წილთა შეძენა წარმოადგენს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონცენტრაციას. ანუ, დაკმაყოფილებული იყო ყველა ფორმალური მოთხოვნა, რაც კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტებს, სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობას ავალდებულებდა.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს, დარღვევის დადგენის მიუხედავად, არ აქვს მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ეფექტიანი და თანაზომადი სამართლებრივი ბერკეტი (ადმინისტრაციული სანქციის ან სხვა ფორმით), რომელსაც იგი გამოიყენებდა სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციების გამოვლენის შემთხვევაში, რაც საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს.

ხსენებულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს მთავრობას წარედგინა შესაბამისი რეკომენდაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

4. სახელმწიფო დახმარება

2016 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტოში შემოვიდა 3 განცხადება სახელმწიფო დახმარებებთან მიმართებით. ორი მათგანი ეხებოდა გასაცემი სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმებას, ხოლო მესამე - სააგენტოს გვერდის ავლით გაცემული სახელმწიფო დახმარების შესაბამისობის დადგენას კონკურენციის კანონმდებლობასთან.

❖

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განცხადება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გასაცემი სახელმწიფო დახმარებები.

შესაბამისად, სააგენტომ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განცხადება, 2016 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ მიმართ 170 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე.

სახელმწიფო (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეწარმეობის განვითრების სააგენტო) და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან, ასევე შესაბამისი ბაზრის სუბიექტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ა(ა)იპ ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისთვის“ 170 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემა შესაბამისობაშია კონკურენციის კანონმდებლობასთან.

2016 წლის ბოლოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ასევე წარმოადგინა განცხადება 2017 წელს გასაცემი სახელმწიფო დახმარების შესახებ.

❖

ა(ა)იპ “კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის” განცხადება

ა(ა)იპ “კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის” მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სს „ჰუმანითი ჯორჯიასათვის“ ერთი მილიონი ლარის გაცემის შესაბამისობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

სააგენტოს მიერ მოძიებული ინფორმაციების განხილვისა და საქართველოში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სს ,,ჰუმანითი ჯორჯიასთვის“ თანხის გადაცემა ექცევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაშვებულ იმ სახელმწიფო დახმარებებში, რომლებიც არ საჭიროებენ სააგენტოსთან შეთანხმებას.

ხსენებულიდან გამომდინარე, არ გამოიკვეთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და მე-13 მუხლების დარღვევის ფაქტი.

5. მონიტორინგი

2016 წლის მაისში სააგენტომ დაიწყო 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მონიტორინგი, კერძოდ:

1) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ბაზრის;
2) მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზრის;
3) თხილის ბაზრის;
4) ავტოდაზღვევის ბაზრის;
5) ჩვილ ბავშვთა კვების ბაზრის.

ხსენებული მონიტორინგებიდან 1 დასრულდა 2016 წელს.

❖

მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზრის მონიტორინგის ანგარიში

2016 წლის ბოლოს სააგენტომ ასევე დაასრულა მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზრის მონიტორინგი. მონიტორინგის ანგარიშში გაანალიზებულია საქართველოში მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, 2014-2016 წლებში, აეროპორტებისა და მოქმედი ავიაკომპანიების მიხედვით და შეფასებულია კონკურენტული გარემო.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზარი მნიშვნელოვნად ვითარდება და მოთხოვნადი ხდება საერთაშორისო ავიაკომპანიებისთვის, ხოლო მაღალი კონკურენციიდან და ხელმისაწვდომი ფასებიდან გამომდინარე - საინტერესო მომხმარებლებისთვის. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ აეროპორტებში ყოველწლიურად იზრდება მგზავრთბრუნვა, რაც ამ ბაზრის განვითარების მაჩვენებელია.

კონკურენციის სააგენტოს შეფასებით, მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზარზე კონკურენტული გარემოა, ბაზარი ფართოვდება და ვითარდება, რადგანაც კონკურენციის შემზღუდველი პირობები და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები არ არსებობს.

6. სასამართლო დავები

კონკურენციის სააგენტოს მონაწილეობით, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში 2016 წელს მიმდინარეობდა 12 საქმის განხილვა. მათ შორის;

- სსიპ შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ძალაში დარჩა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება;

- შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ სარჩელის საფუძველზე მიმდინარე დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში, კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 მარტის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დადგინდა სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

- სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საქმეზე სააგენტოს მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, რომელიც დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ და ასევე ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. საკითხი ეხება სააგენტოს 2016 წლის 21 ივნისის N81 ბრძანებით დაწყებული მოკვლევის ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ 2016 წლის პირველი ივლისიდან განსახორციელებელი ქმედების დროებით შეჩერებას;

- ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე - 9 სასამართლო დავა.

N	კომპანია	სტატუსი	შენიშვნა
1	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	საქალაქო სასამართლომ საგენტოს გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი	გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში
2	შპს „ლუკოილ ჯორჯია“		
3	შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“	საქმის განხილვა მიმდინარეობს საქალაქო სასამართლოში	
4	შპს „რომპეტროლ საქართველო“		
5	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“		
6	შპს „ი თი აი“		
7	შპს „ბინული 1“		
8	შპს „ლ-ოილი“	შეჩერებული	შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ საქმის დამთავრებამდე საქმის წარმოება შეჩერდა
9	შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ 8 ლიცენზიანტი კომპანია		

7. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობა

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სააგენტოს აქტივობებში, ვინაიდან ეს წარმოადგენს ცოდნისა და ინფორმაციის მოპოვების ეფექტიან საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას. შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის თაობაზე მიღებულ ინფორმაციას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის მანძილზე, კონკურენციის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის ორგანოებთან. წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

❖ კონკურენციის სააგენტოს განვითარებისა და ადვოკატირების პროექტი

კონკურენციის სააგენტოს განვითარებისა და ადვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს დაფინანსებით მიმდინარეობს, 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საზაფხულო სკოლა - კონკურენციის სააგენტოს ოთხმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა კუნძულ როდოსზე, საბერძნეთში, „კონკურენციისა და რეგულირების ევროპული საზაფხულო სკოლა და საერთაშორისო კონფერენცია“-ში (CRESSE).

საზაფხულო სკოლის მანძილზე, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეულმა პროფესორებმა ჩაატარეს ლექციები კონკურენციის თემატიკაზე. სააგენტოს თანამშრომლები, ასევე, გაეცნენ ბოლოდროინდელ ცვლილებებს ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობაში.

ტრენინგები - კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებს, კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის სხვადასხვა თემატიკაზე, ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სამ ნაწილად: სექტემბერში, ოქტომბერსა და დეკემბერში.

სალექციო კურსს ასევე ესწრებოდნენ - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები.

სასწავლო ვიზიტი - სააგენტოს სამი თანამშრომელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხეთის კონკურენციის უწყებაში. ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლები დეტალურად გაეცნენ ჩეხეთის კონკურენციის უწყების სტრუქტუ-რასა და ფუნქციონირების პრინციპებს, საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებს. მონაწილეები ასევე, დაესწრნენ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას: „ტენდენციები კონკურენციის სამართალში“.

ადვოკატირების სემინარები

„კონკურენციის შესახებ“ კანონისა და კონკურენციის სამართლის როლის ფართო საზოგადოებისათვის განმარტების მიზნით, თბილისში ჩატარდა ადვოკატირების სემინარები მოსამართლეების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის.

❖ ევროკავშირის დახმარების პროექტი

ევროკავშირის დახმარების პროექტის მიზანია კონკურენციის სააგენტოს ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის შექმნის ხელშეწყობა. პროექტის ძირითადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებას სააგენტოს თანამშრომლებისათვის პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესების მეშვეობით.

პროექტი განხორციელდება 2 წლის მანძილზე და მისი მიზნები იყოფა სამ ძირითად ნაწილად:

- კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობის გაზრდა და გაძლიერება;
- კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ქართულ საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა.

2016 წლის მანძილზე მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობასთან. განხორციელდა მოსამზადებელი ღონისძიებები პროექტის იმპლემენტაციის დაწყებისათვის. მათ შორის, მომზადდა ექსპერტებისათვის სამუშაო ოთახები და სხვ.

აღნიშნული პროექტი კონკურენციის სააგენტოს დაეხმარება საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდასა და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

❖ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

დაფუძნების დღიდან, კონკურენციის სააგენტო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ხსენებული თანამშრომლობის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ, ევროპელი ექსპერტების მიერ გამართულ არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, რაც ხელს უწყობს კონკურენციის სააგენტოს, როგორც ახლად დაფუძნებული უწყების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

2016 წლის მანძილზე, OECD-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ:

- საქართველოს მთავრობისა და OECD-ის დელეგაციებს შორის შეხვედრას.

უწყებათაშორის შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები.

- კონკურენციის მე-15 გლობალური ფორუმს.

ფორუმზე განსახილველ ძირითად თემებს წარმოადგენდა: კონკურენციის უწყებების დამოუკიდებლობა და ეფექტიანი სანქციების დაკისრების მექანიზმები.

მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, ევროკავშირის კონკურენციის ექსპერტების-გან მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე და ემსჯელათ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

- უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის სემინარებს/კონფერენციებს

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლები დაესწრნენ სამ საერთაშორისო სემინარს ქ. ბუდაპეშტში კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და ერთ გასვლით სემინარს ქ. ბელგრადში (სერბეთი), კონკურენციის ადვოკატირების თემატიკაზე.

❖ სოფიას კონკურენციის ფორუმი

კონკურენციის სააგენტო 2014 წლის 2 სექტემბრიდან არის სოფიას კონკურენციის ფორუმის წევრი (SFC) და 2016 წელსაც მიიღო მონაწილეობა ბულგარეთში, ქ. სოფიაში გამართულ კონკურენციის მერვე და მეცხრე ფორუმებში.

აღსანიშნავია, რომ სოფიას კონკურენციის ფორუმის საინფორმაციო ბიულეტენის მეორე გამოცემაში დაიბეჭდა სტატიები საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თაობაზე. კერძოდ, 2014 წლიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და კონკურენციის სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.

❖ საერთაშორისო კონკურენციის ქსელი

საერთაშორისო კონკურენციის ქსელი (ICN), რომელშიც საქართველოს კონკურენციის სააგენტო 2014 წლის 29 ოქტომბერს გაწევრიანდა, არის ექსკლუზიურად კონკურენციის სამართლის აღსრულების საკითხებზე მომუშავე ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია.

კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენ-ლებმა საერთაშორისო კონკურენციის ქსელის მიერ ქ. სინგაპურში ორგანიზებულ 2016 წლის წლიურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც 500-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა.

სააგენტოს წარმომადგენლები ასევე დაესწრნენ ქ. ვაშინგტონში გამართულ მრგვალი მაგიდის შეხვედრას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ვაჭრობის კომისიის, იუსტიციის დეპარტამენტისა და ანტიტრასტული განყოფილების თანაორგანიზებით განხორციელდა. შეხვედრას ICN-ის წევრი 30-ზე მეტი ქვეყნის კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

❖ ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროექტი

ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროექტის (TAIEX) ფარგლებში, ევროკავშირის ქვეყნების ექსპერტების მონაწილეობითა და კონკურენციის სააგენტოს თანაორგანიზებით, თბილისში, ჩატარდა ორი საერთაშორისო სემინარი თემაზე:

- „კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობა“;
- „სახელმწიფო დახმარება DCFTA-ის კონტექსტში“.

სემინარებზე მოხდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და არსებულ გამოწვევებზე მსჯელობა, რაც მიზნად ისახავს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის კიდევ უფრო დაახლოებასა და ჰარმონიზაციას ევროპის კონკურენციის კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, განსახილველი საკითხებისადმი დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი და აქტიური ჩართულობა.

❖ თანამშრომლობის მემორანდუმები

2016 წლის მანძილზე, კონკურენციის სააგენტო აქტიურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებასთან დაკავშირებით, როგორც სხვა ქვეყნის კონკურენციის უწყებებთან, ისე ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სექტორულ მარეგულირებლებთან. კერძოდ:

- 2016 წლის 29 ნოემბერს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და თურქეთის რესპუბლიკის კონკურენციის ორგანოს შორის;

მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის კონკურენციის სამართლის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას, ერთობლივი ღონისძიებების, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით. მემორანდუმის თანახმად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში, ერთობლივი პროექტების ფარგლებში, მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და გამართავენ ორმხრივ კონსულტაციებს.

- 2016 წლის 19 ივლისს გაფორმდა მემორანდუმი კონკურენციის სააგენტოსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

მემორანდუმი მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სააგენტოში პრაქტიკის გავლასა და საერთო პროექტების დაგეგმვას ითვალისწინებს.

❖ შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე შეხვდა:

➢ თურქეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ზაქი ლევენთ გუმრუქჩუს;

შეხვედრის ფარგლებში, კონკურენციის სფეროში, საქართველო-თურქეთის ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

➢ იაპონიის ელჩს საქართველოში, ტოშიო კაიტანის.

შეხვედრის ფარგლებში გამოიხატა მზადყოფნა, კონკურენციის სფეროში ორი ქვეყნის შესაბამისი უწყების სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

❖ შეხვედრები
დონორ ორგანიზაციებთან

სააგენტოს საქმიანობის ხელშეწყობის, მისი შესაძლებლობების გაზრდისა და განვითარების მიზნით, 2016 წლის მანძილზე გაიმართა არაერთი შეხვედრა დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მათ შორის:

- ➢ ესტონეთის კონკურენციის ორგანოსა და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მკვლევარებთან;
- ➢ სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსიაში EBRD-ის დირექტორთან - ბრუნო ბალვანერასთან;

- ➢ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის, „ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება 202-ის“ (HICD 2020) წარმომადგენლებთან;
- ➢ თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან (TiKA);
- ➢ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA);
- ➢ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) წარმომადგენლებთან.

შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის აქტუალური საკითხები მიმოიხილეს და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვაზე ისაუბრეს.

8. კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერებისა ამაღლება

ვინაიდან კონკურენციის სააგენტო საკმაოდ ახალგაზრდა უწყებაა და ზოგადად კონკურენციის სამართალი ქვეყნისათვის სიახლეს წარმოადგენს, უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ხშირად კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას შესაბამისი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ან მისი არქონა იწვევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის მანძილზე, კონკურენციის სააგენტო, როგორც თავისი რესურსებით, ასევე დონორთა ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. მათ შორის:

- 29 იანვარი - კონკურენციის სააგენტოს შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლებთან;

- 19 აპრილი - საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი კონკურენციის პოლიტიკის შესახებ (EPAC, G4G);

- 5 ოქტომბერი - კონკურენციის სააგენტოს შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან;

- 20 ოქტომბერი - კონკურენციის სამართლის ადვოკატირების სემინარი მოსამართლეებისთვის (EBRD);

- 18 ნოემბერი - კონკურენციის სააგენტოს შეხვედრა დარგის ექსპერტებთან და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებთან;

- 9 დეკემბერი - კონკურენციის სამართლის ადვოკატირების სემინარი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

შეხვედრების ფარგლებში, მიმდინარეობდა აქტიური მსჯელობა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სააგენტოს მიერ გაწეული, მიმდინარე და სამომავლო საქმიანობის შესახებ. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, მიეღო პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე და წარმოედგინა საკუთარი ხედვები ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გზებზე.

❖ გზამკვლევი

„მოკვლევის პროცესში კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობის პროცედურა და ვადები“

მოკვლევის პროცესში ეკონომიკური აგენტების უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დებულებები მოცემულია რამდენიმე ნორმატიულ აქტში, რაც შესაბამისი სუბიექტებისთვის გარკვეულწილად ართულებს პროცესის მთლიანობაში აღქმას.

აღნიშნული პრობლემის გამოსწორების მიზნით, სააგენტოს სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტში შემუშავდა ეკონომიკური აგენტებისათვის განკუთვნილი სარეკომენდაციო ხასიათის გზამკვლევი „მოკვლევის პროცესში კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობის პროცედურა და ვადები“.

გზამკვლევი თავს უყრის როგორც სხვადასხვა ნორმატიული აქტების დებულებებს, ისე სააგენტოს პრაქტიკას და აღწერს მოკვლევის პროცესს მთლიანობაში. დოკუმენტში ყურადღებაა გამახვილებული შემდეგ საკითხებზე:

- მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება (მაგ. „ეკონომიკური აგენტი“, „კარტელი“ და ა.შ.)
- მოკვლევის, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ეტაპები - Timeline
- წარმოების დაწყება (განცხადებით, საჩივრით, საკუთარი ინიციატივით)
- დასაშვებობის ეტაპი (ფორმალური და მატერიალური ნაწილი)
- უშუალოდ მოკვლევის პროცესი და განსახორციელებელი ღონისძიებები
- გადაწყვეტილების შემუშავება და დამტკიცება
- ვადები და გასაჩივრების მექანიზმი
- ეკონომიკურ აგენტთა უფლება-მოვალეობები ადმინისტრაციული წარმოების თითოეულ ეტაპზე

გზამკვლევი დამტკიცდა სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 დეკემბრის N238 ბრძანებით და გამოქვეყნდა სააგენტოს ვებგვერდზე, რათა ეკონომიკურ აგენტებს მიეცეთ მისი გაცნობის საშუალება.

კონკურენციის ძირითადი პრინციპებისა და ეკონომიკური აგენტების ვალდებულებების თაობაზე ინფორმაციის მარტივად აღქმადი ფორმით ხელმისაწვდომობის მიზნით, სააგენტო მუშაობას აგრძელებს კანონმდებლობის რიგი დებულებების პრაქტიკული განმარტებებისა და გზამკვლევი დოკუმენტების გამოცემის მიმართულებით.

9. სააგენტოს ვალდებულებების შესრულება

❖ **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება**

საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი საფუძვლად უდევს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA). ასოცირების შეთანხმების პრეამბულის ერთ-ერთი დანაწესი, ისევე როგორც DCFTA-ის კონკურენციის თავი (ასოცირების შეთანხმების 203-209 მუხლები), ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის სამართლის ეფექტიანი აღსრულების მნიშვნელობაზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგი, თავის მხრივ, აკონკრეტებს მხარეთა პრიორიტეტებს კონკურენციის მიმართულებით და აღნიშნავს, რომ მხარეები ითანამშრომლებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების კონკურენციის თავისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების იმპლემენტაციისთვის მომზადების პროცესში, რაც მოიცავს:

- „საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარანტირების უზრუნველყოფას;
- ამ სფეროში კანონმდებლობის აღსრულების გამოცდილების თაობაზე დიალოგის გაღრმავებას, ისევე როგორც კონკურენციასთან დაკავშირებულ სხვა საკანონმდებლო განვითარებებზე“.

აღნიშნული ვალდებულებები დეტალიზებულია საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, კონკურენციის სააგენტოს ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეესრულებინა შემდეგი აქტივობების განხორციელებით:

- საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე (ეროვნული სამოქმედო გეგმის 106.1 პუნქტი);
- კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე და მათი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში (ეროვნული სამოქმედო გეგმის 107.1 პუნქტი).

აღნიშნული ვალდებულებები სრულყოფილად იქნა შესრულებული კონკურენციის სააგენტოს მიერ. კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით, ჩატარდა 8 სემინარი/კონფერენცია. ხოლო სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 17 აქტივობა (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ.), რასაც მოჰყვა 30-მდე თანამშრომლის გადამზადება.

ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ყოველკვარტალური და წლიური სახით, მიეწოდა DCFTA-ის ფარგლებში

კოორდინაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

გარდა ამისა, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო

ვაჭრობის საკითხებში ასოცირების კომიტეტის შეხვედრაში, რომელიც 2016 წლის პირველ დეკემბერს, ბრუსელში, ევროკომისიის სათაო ოფისში გაიმართა. კონკურენციის თავის განხილვისას დადებითად შეფასდა საქართველოს პროგრესი აღებული ვალდებულებების (კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება; კონკურენციის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება) შესრულებაში.

❖ **საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამა „ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა“**

ტრენინგების გეგმის განხორციელების ანგარიში

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს აკისრებს ვალდებულებას, შემოიღოს „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები“. „ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის“ საბიუჯეტო დახმარების პროგრამა ეხმარება საქართველოს, მათ შორის, კონკურენციის მიმართულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

კერძოდ, აღნიშნული პროგრამა საბიუჯეტო დახმარების გადმოცემას უკავშირებს „სპეციფიური პირობების“ შესრულებას.

კონკურენციის მიმართულებით, სპეციფიური პირობები, შესაბამისი ინდიკატორები და მათი შესრულების შემოწმების წყაროები წლების მიხედვით მდგომარეობს შემდეგში:

2015	2016	2017
3.2. ინდიკატორი	3.2. ინდიკატორი	3.2. ინდიკატორი
ტექნიკური და აღსრულების შესაძლებლობების გაუმჯობესება კონკურენციის სააგენტოში, სააგენტოს თანამშრომლებისთვის შედეგებზე ორიენტირებული ტრენინგების გეგმის მიღების გზით.	2016 წლისთვის დაგეგმილი ინსტიტუციური განვითარების ღონისძიებების გატარება, ტრენინგების გეგმის მიხედვით.	2017 წლისთვის დაგეგმილი ინსტიტუციური განვითარების ღონისძიებების გატარება, ტრენინგების გეგმის მიხედვით.
შემოწმების წყარო:	შემოწმების წყარო:	შემოწმების წყარო:
ტრენინგების გეგმის მიღება.	საჯაროდ ხელმისაწვდომი წლიური ანგარიში.	საჯაროდ ხელმისაწვდომი წლიური ანგარიში.

2015 წელს დამტკიცებული ტრენინგების გეგმის მიხედვით, 2016 წლისთვის სააგენტოს თანამშრომლებისთვის დაგეგმილი იყო სამი ტრენინგი შემდეგ თემებზე:

1) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ჯგუფური დომინირების საკითხები;

2) პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები კარტელის შემთხვევებში; მოკვლევის ევროპული პრაქტიკა;

3) თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის.

აღნიშნული თემების აქტუალობა განპირობებული იყო სააგენტოს წინაშე მდგარი ამოცანებით. კერძოდ, სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებებით, მოკვლევებით და სასამართლო დავებით, რომლებიც სწორედ ხსენებულ საკითხებს ეხება. წლის განმავლობაში სამივე ზემოაღნიშნული ტრენინგი წარმატებით ჩატარდა.

პირველი ტრენინგი, „თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოებსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის“ TAIEX-ის ფინანსური მხარდაჭერით, 25-26 თებერვალს, თბილისში ჩატარდა. ტრენინგს კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს დარგობრივი მარეგულირებლების, არასამთავრობო და კონკურენციის სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციების 60-მდე წარმომადგენელი დაესწრო. მოწვეულმა სტუმრებმა გერმანიის, ლიტვის, იტალიის და ნიდერლანდების კონკურენციის სააგენტოებიდან დამსწრეებს გაუზიარეს ევროპული საუკეთესო პრაქტიკა შემდეგ თემატიკაზე: კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის კუთხით არსებული ვითარება, პრაქტიკული მაგალითები ლიტვის რესპუბლიკიდან, კონკურენციის უწყებასა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის კომპეტენციათა დანაწილება. ტრენინგმა წარმოაჩინა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს სხვადასხვა მოდელები კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის კომპეტენციების დანაწილების კუთხით, თუმცა თითოეული მათგანი იძლევა საშუალებას, მოხდეს კონკურენციის კანონმდებლობის სრული, ჰორიზონტალური და ეფექტიანი აღსრულება.

ტრენინგის შედეგად პირველად დამყარდა კონტაქტები საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის, რაც, მოგვიანებით, აქტიურ პრაქტიკულ თანამშრომლობაში გადაიზარდა. მაგალითად, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებმა კონსულტაციები გაიარეს საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან ერთ-ერთ მიმდინარე საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რადგან აღნიშნული საქმე მოიცავდა როგორც ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებულ, ასევე, არარეგულირებად სექტორებს. გარდა ამისა, კონკურენციის სააგენტომ კონსულტაცია გაიარა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) წარმომადგენლებთან სოფიის კონკურენციის ფორუმზე წარსადგენი მოხსენების მომზადების პროცესში. თანამშრომლობა ასევე გაღრმავდა კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას შორის და უახლოეს მომავალში იგეგმება თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაც.

მეორე ტრენინგი, რომელიც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დეტალურ სამართლებრივ და ეკონომიკურ ანალიზს მიეძღვნა, EBRD-ის და დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, 21-29 სექტემბერს თბილისში ჩატარდა. 7-დღიან ინტენსიურ ტრენინგს, რომელსაც ევროპელი პროფესორები უძღვებოდნენ, დაესწრო კონკურენციის სააგენტოს 15, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2 და სემეკის 2 წარმომადგენელი. მომხსენებლებმა დეტალურად დაფარეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამართლებრივი და ეკონომიკური

ასპექტები და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლის აღსრულების პრაქტიკა. ტრენინგი მოიცავდა პრაქტიკულ ელემენტებსაც. ტრენინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ფონზე, როდესაც ამ პერიოდში სააგენტოში მიმდინარეობს მოკვლევა კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მესამე ტრენინგი, რომელიც ასევე EBRD-ისა და დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით 19-20 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა, ეძღვნებოდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების (კარტელების) დამტკიცებისას პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების გამოყენების ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. ტრენერი, პროფესორი ფრედერიკ ჟენი, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ტრენინგს კონკურენციის სააგენტოს 17, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2 და სემეკის 2 წარმომადგენელი დაესწრო. მოხდა კარტელის აღმოჩენის, მტკიცების სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის, მტკიცებულებათა შეფასებისა და სხვა რელევანტური თემების დეტალური პრეზენტაცია და განხილვა, პრაქტიკული სამუშაოს ჩათვლით. კარტელი, როგორც კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა, სააგენტოს პრაქტიკაში ცენტრალურ როლს იკავებს. გარდა მიმდინარე მოკვლევებისა, სააგენტო ამ საკითხებზე დავას აწარმოებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებშიც. ამდენად, ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს გამოიღებს სააგენტოს საქმიანობაში.

❖

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ჩინეთსა და ჰონგ-კონგთან

კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში (9-13 მაისი, ქ. პეკინი), ასევე, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს - ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში (12-15 სექტემბერი, ჰონგ-კონგი).

მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებათა პროექტები მოიცავს კონკურენციის თავს, რომელშიც მოცემულია კონკურენციის თემატიკასთან მიმართებით, მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, საქმიანობის ზოგადი პრინციპები, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც შეეხება ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას, კონსულტაციების გამართვას, დავების გადაწყვეტის წესს და ა.შ.

როგორც ჩინეთის, ასევე ჰონგ-კონგის შემთხვევაში, გამართული მოლაპარაკებების ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და მასპინძელი მხარის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები შეთანხმდნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და ამ ნაწილში მოლაპარაკებები დასრულებულად ითვლება.

10. რეკომენდაციები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ 2016 წელს სულ გაიცა 25 რეკომენდაცია:

- 3 - საქართველოს მთავრობაზე (მათ შორის, 1 საკანონმდებლო ცვლილების კუთხით);
- 1 - ეკონომიკურ აგენტზე;
- 20 - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე (მათ შორის 9 საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით);
- 1 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოზე.



❖

სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასება კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის ჭრილში

შპს „გიგანტი სექიურითის“ განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან და საქართველოს მთავრობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაცია წარუდგინა.

წარმოების ფარგლებში, სააგენტომ იმსჯელა წერილში აღნიშნული საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე, მოიძია კერძო დაცვის კომპანიების რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და გამართა საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.

სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაძლებელია საქართველოს კერძო დაცვის კანონმდებლობის დახვეწა კერძო დაცვის მომსახურების ბაზარზე კონკურენციული გარემოს გაუმჯობესების მიზნით. დღეს არსებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის ორმაგი ფუნქციების მინიჭებას, წარმოადგენს გადახვევას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პირთა თანასწორობის პრინციპიდან და ბაზრის მონაწილეებს უქმნის განცდას, რომ აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარეგულირებელ ფუნქციებს შეიძლება იყენებდეს კონკურენტების საზიანოდ. გარდა ამისა, აღნიშნული მოდელი წინააღმდეგობაში მოდის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და გაკრიტიკებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ამდენად, სააგენტოს პოზიციით, სასურველია გადაიხედოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, რის შედეგადაც გაიმიჯნება ერთიდაიგივე ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ კერძო დაცვის მომსახურების კონტროლისა და პარალელურად, სახელშეკრულებო საფუძველზე ანალოგიური სერვისის განხორციელების უფლებამოსილებები.

❖

ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ წერილის საფუძველზე, სააგენტომ განიხილა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისობა კონკურენციის სამართლის პრინციპებთან.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტომ მიიღო კონსულტაციები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ა(ა)იპ მშენებლობის შემფასებელთა კავშირის და სამშენებლო საქმიანობის ექსპერტიზაზე აკრედიტაციის მქონე კომპანიის - შპს „ოპტიმალ გრუპ +ის“ წარმომადგენლებისგან.

სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში, შეაფასა არა დადგენილებაში არსებული ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური ზღვრული ოდენობის განაკვეთის ოპტიმალურობა, არამედ ზოგადად, ზღვრების არსებობის მიზნობრიობა - ქმნის თუ არა აღნიშნული განაკვეთების არსებობა არათანაბარ მიდგომას სხვადასხვა ეკონომიკური აგენტებისათვის და შესაბამისად, აღნიშნული იწვევს თუ არა კონკურენციის შეზღუდვას.

სააგენტომ მიიჩნია, რომ დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ზღვრების დაცვის ვალდებულება გააჩნია მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას და არა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს. არ შეიძლება მთავრობის N55 დადგენილება განიმარტოს იმგვარად, რომ ხსენებული სამართლებრივი აქტი პრეტენდენტ კომპანიებს უკრძალავს გარკვეულ პროცენტულ ოდენობაზე მეტი მოგების მიღებას, ან ზედნადები ხარჯების ქონას, ვინაიდან ისინი არ არიან ამ ნორმის ადრესატები.

ამდენად, სააგენტომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა საქართველოს მთავრობის N55 დადგენილებასთან მიმართებით რეკომენდაციების შემუშავება - შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობის და მათი აღმოფხვრის საჭიროების თვალსაზრისით, ვინაიდან არ დაადგინა ხსენებული დადგენილების წინააღმდეგობა კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრულ პრინციპებთან.

❖

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან მიმართებით, სააგენტომ შეიმუშავა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც ძირითადად, შეეხებოდა ამ კანონის საფუძველზე საქმიანობის განმახორციელებელი პირების თანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩაყენებას, რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობას და აღნიშნულ ბაზარზე შესასვლელად ადმინისტრაციული ბარიერების მაქსიმალურად შემცირებას.

11. სამომავლო გეგმები

2017 წელს კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერებისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების მექანიზმების შემდგომი სრულყოფის მიმართულებით მუშაობა აქტიურად გაგრძელდება.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო დიდ იმედებს ამყარებს და ხელშესახებ შედეგებს მოელის ევროკავშირის დახმარების პროექტისგან, რაც ევროპელი ექსპერტების გამოცდილების მუდმივ გაზიარებაში, სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში უნდა გამოიხატოს.

ასევე, სააგენტო გეგმავს, ინტენსიური ხასიათი მისცეს შეხვედრებს ბიზნეს-სექტორის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რაც მათთვის კონკურენციის კანონმდებლობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და დარღვევათა პრევენციას ემსახურება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტაქტების დამყარება და გაძლიერება, ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედ სახელმწიფო, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. ასევე, მეგობარი სახელმწიფოების კონკურენციის უწყებებთან. 2017 წელს იგეგმება სააგენტოსა და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდება, ასევე, მეგობარი ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან.

სააგენტოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რაც კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელ ორგანოს ეფექტიანი მოქმედების საშუალებას მისცემს. 2017 წლის მანძილზე, ევროკავშირის დახმარების პროექტის ფარგლებში, იგეგმება კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი კიდევ უფრო დაახლოება.

სააგენტოს სამომავლო საქმიანობა ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების, სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისკენ იქნება მიმართული.

სარჩევი

თავმჯდომარის მიმართვა

შესავალი..... 3

1. სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მაჩვენებლები..... 5
2. მოკვლევები..... 6
   2.1. დასრულებული მოკვლევები..... 6
   2.2. მიმდინარე მოკვლევები.....10
   2.3. მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები.....11
3. კონცენტრაციები.....13
4. სახელმწიფო დახმარება.....16
5. მონიტორინგი.....17
6. სასამართლო დავები.....18
7. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობა 19
8. კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება..... 25
9. სააგენტოს ვალდებულებების შესრულება..... 27
10. რეკომენდაციები..... 31
11. სამომავლო გეგმები..... 33

საქართველოს კონკურენციის სააგენტო
მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის 154
ტელ: (032) 2990 900 (21-74)
ელ-ფოსტა: info-gca@competition.ge
ვებ-გვერდი: www.competition.ge